სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/12

(ოქმი N14)

ქ. ბათუმი

22 დეკემბერი2020წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ სხვადასხვა შესყიდვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის ,,ვ'' ქვეპუნქტის და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის2020 წლის 17 დეკემბრის N02-19/3090 წერილის თანახმად:

1. მიეცეს თანხმობა სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორს,2021 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს მიერ, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, განახორციელოს შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

1.1. საწვავის შესყიდვა - საერთო სახელშეკრულებო ღირებულება 123 000 ლარი;

1.2. მაუწყებლის შენობების (ტელევიზიისა და რადიოს) შეიარაღებული დაცვის მომსახურების შესყიდვა 2021 წლის 01.01.2021-31.12.2021 პერიოდში - 151 200 ლარი;

1.3. ციფრული მიწისზედა სატელევიზიო სიგნალის გავრცელების, რადიოსარელეო ხაზებით რადიოპროგრამების გატარების (ტრანზიტის 100კბტ)და FMრადიოგადამცემების განთავსების მომსახურების შესყიდვა ჯამში - 304800 ლარი, თვეში 25400 ლარი, მათ შორის: 19486 ლარი ციფრული სატელევიზიო აპარატურის მომსახურების, 3844 ლარი FM რადიოგადამცემების მომსახურების გადასახადი. 1200 ლარი რადიოპარატურის მიერ მოხმარებული ელ.ენერგიის გადასახადი მრიცხველის ჩვენების მიხედვით. 870 ლარი რადიოსარელეო ხაზებით რადიოპროგრამების გატარების მომსახურების გადასახადი. ხელშეკრულების ღირებულება განსაზღვრულია შპს ,,საქართველოს ტელერადიოცენტრის'' 2020 წლის 27 ნოემბრის N256/09 წერილის (შემოსული კორესპონდენციის N02-22/514) საფუძველზე;

1.4. მაუწყებლის თანამშრომელთა დაზღვევა - 109 800 ლარი.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის განმავლობაში მისი გამოქვეყნების დღიდან;

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge'';

4. გადაწყვეტილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის

და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

გიგა ჩხარტიშვილი